

1961/2



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს  
უწყებები



№ 8 (131) 20 მაგვი 1961 წელი

შ ი ნ ა ბ რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგინილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დადგინილებები

ჯანმრთილება პიკვილი

- 128. ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.
- 129. შეთანხმება ასუანის მაღალი კაშხლის მშენებლობის უკანასკნელ სტადიამდე დასამთავრებლად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის მიერ ეკონომიური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ.
- 130. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების შესახებ.
- 131. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლატვიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალდაკარგულად ცნობის შესახებ.
- 132. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლატვიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.
- 133. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ესტონეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალდაკარგულად ცნობის შესახებ.
- 134. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ესტონეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.



135. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ნ. ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
136. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. ა. ობუხოვას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
137. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალი ქალის გ. ე. ნიკოლაევას (ვოლიანსკაიას) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
138. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ნ. ი. კონრადის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
139. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საავიაციო ტექნიკის მფრინავ-გამომცდელთათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელი“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ბანყოფილება მესამე

ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების არჩევნების შესახებ.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

**საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დადგენილებები**

ბანყოფილება მიორა

140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გ. ი. ასათიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.





განყოფილება პირველი

ხელშეკრულება

**128** ვაჭრობისა და ზღვაოსნობის უსახეზ საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკების კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ  
რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმმა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი  
სახალხო კრების პრეზიდიუმმა,

სურთ რა ხელი შეუწყონ ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის  
განვითარებასა და განმტკიცებას,

გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შე-  
სახებ და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმმა — ნიკოლოზ სიმონის ძე პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო  
ვაჭრობის მინისტრი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრე-  
ბის პრეზიდიუმმა — ლი სონ უნი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბ-  
ლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო წეს-  
რიგზე და ჭეროვან ფორმაში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მხარეები თანასწორუფლებიანობისა და ურთი-  
ერთ სარგებლობის საფუძველზე, მეგობრული თანამშრომლობისა და ურთი-  
ერთ დანხარების სულისკვეთებით ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციე-  
ლებენ ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად და  
განსამტკიცებლად.

ამ მიზნით ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მთავრობები დადე-  
ბენ შეთანხმებებს, მათ შორის გრძელვადიანებს, რომლებიც უზრუნველყო-  
ფენ საქონელბრუნვის განვითარებას ორივე სახელმწიფოს სახალხო მეურნე-  
ობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები მხარეები შეუქმნიან ერთმანეთს ერისათვის  
ყველაზე ხელსაყრელ რეჟიმს ყველა საკითხში, რომელიც ეხება ვაჭრობასა და



### მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები მხარეები, 2 მუხლის დადგენილებათა თანახმად, ერთმანეთს შეუქმნიან ერისათვის ყველაზე ხელსაყრელ რეჟიმს ყველაფერში, რაც ეხება საბაჟო საკითხებს, კერძოდ, ბაჟს, გადასახადებსა და სხვა გამოსაღებებს; საბაჟო კონტროლით საქონლის საწყობში მოთავსებას; წესებსა და ფორმალობებს, რომლებსაც იყენებენ საქონლის საბაჟო დამუშავების დროს.

ამის შესაბამისად, ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე შემოსატანი ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმის მიმართ არ იქნება გამოყენებული რომელიმე სხვა ან უფრო დიდი ბაჟი, გადასახადები ან სხვა გამოსაღებები, ან სხვა წესები ან უფრო დამამძიმებელი ფორმალობანი, ვიდრე ისეთი, როგორც გამოიყენება რომელიმე მესამე სახელმწიფოს ნიადაგისა და მრეწველობის ასეთივე ნაწარმის მიმართ.

ასევე, ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმის ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გატანის დროს არ იქნება გამოყენებული რომელიმე სხვა ან უფრო დიდი ბაჟი, გადასახადები ან სხვა გამოსაღებები, ან სხვა წესები ან უფრო დამამძიმებელი ფორმალობანი, ვიდრე ისეთი, როგორც გამოიყენება ნიადაგისა და მრეწველობის მსგავსი ნაწარმის გატანის დროს რომელიმე მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

### მუხლი 4

ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმის მიმართ, რომელიც ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს ან მესამე სახელმწიფოების ტერიტორიაზე გავლით შეიტანება, არ იქნება გამოყენებული რომელიმე სხვა ან უფრო დიდი ბაჟი, გადასახადები ან სხვა გამოსაღებები, ან სხვა წესები ან უფრო დამამძიმებელი ფორმალობანი, ვიდრე ისეთი, როგორც გამოყენებულ იქნებოდა მათ მიმართ, თუ ისინი შემოტანილ იქნებოდა უშუალოდ მათი მწარმოებელი ქვეყნიდან.

ეს დადგენილება ეხება აგრეთვე იმ საქონელსაც, რომელმაც მესამე სახელმწიფოს ან მესამე სახელმწიფოების ტერიტორიაზე გავლით გადმოტანის დროს განიცადა გადატვირთვა, ხელახლა შეფუთვა და საწყობში მოთავსება.

### მუხლი 5

საბაჟო ხელისუფალთა მიერ დადგენილი განსაზღვრული ვადის განმავლობაში უკანვე გატანის ან უკანვე შემოტანის პირობებში, თუ არის ამის დამაპ

ტყელები საბუთი, ბაჟის, გადასახადების ან სხვა გამოსაღებებისაგან შემოტანისა და გატანის დროს თავისუფლდება შემდეგი საგნები:



- ა) ბაზრობების, გამოფენების ან კონკურსებისათვის განკუთვნილი საგნები;
- ბ) ცდების ან გამოცდების საწარმოებლად განკუთვნილი საგნები;
- გ) საგნები, რომლებიც შემოტანილია გასარემონტებლად და უკანვე უნდა იქნას გატანილი გარემონტებული სახით;

დ) სამონტაჟო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, რომლებიც შემოაქვთ ან გააქვთ მონტიორებს ან მათ ეგზავნებათ;

ე) ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმი, რომელიც შემოაქვთ გადასამუშავებლად ან დასამუშავებლად და რომელიც უკანვე უნდა იქნას გატანილი გადამუშავებული ან დამუშავებული სახით;

ვ) მარკირებული ტარა, რომელიც მოტანილია ასაცვებად, აგრეთვე შემოტანის საგნებისათვის განკუთვნილი ტარა.

საქონლის ნიმუშები, რომლებიც გამოყენებულია მხოლოდ ნიმუშად და იგზავნება იმ რაოდენობით, რომელიც მიღებულია ვაჭრობაში, აუცილებლად თავისუფლდება ბაჟის, გადასახადების ან სხვა გამოსაღებებისაგან.

### მუხლი 6

შინაგანი გამოსაღებები, რომლებითაც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიაზე იბეგრება რომელიმე საგნების წარმოება, დამუშავება, მიმოქცევა ან მოხმარება, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმზე არავითარ შემთხვევაში არ იქნება აღებული უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე რომელიმე მესამე ქვეყნის ანალოგიურ ნაწარმზე.

### მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე არ გამოიყენებს რაიმე შეზღუდვას ან აკრძალვას ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიიდან შემოტანის მიმართ ან ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გატანის მიმართ, თუ კი ასეთი შეზღუდვა ან აკრძალვა გამოყენებული არ არის ყველა სხვა სახელმწიფოს მიმართ.

მაგრამ ხელშეკრულების დამდები მხარეები იტოვებენ უფლებას, სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის დაცვის, ცხოველთა და მცენარეთა დაცვის, ხელოვნების საგანთა, აგრეთვე არქეოლოგიურ და ისტორიულ ფასეულობათა შენარჩუნების მოსაზრებებით დააწესონ შემოტანისა და გატანაზე აკრძალვა ან შეზღუდვა, თუ კი ასეთი სახის აკრძალვა ან შეზღუდვა ასეთივე ვითარების დროს გამოყენებულ იქნება ყოველი მესამე სახელმწიფოს მიმართ.

### მუხლი 8

ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის გემებს და მათ ტვირთს, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ნავსადგურებში მათი შესვლისა და გამო-



სვლის, აგრეთვე იქ ყოფნის დროს, შეექმნებათ ერისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმი. ეს რეჟიმი იმოქმედებს, კერძოდ: ყოველი საზღვარსაღმოსავლეთისა და გადასახადის მიმართ, რომლებიც გადახდევინებულ იქნება საბელმწიფოს, ადგილობრივ ხელისუფალთა და სხვა ორგანიზაციების სახელით და მათ სასარგებლოდ; გემების ნაპირზე მიდგომის, გემების ნავსადგურებში და რეიდზე დატვირთვისა და გადმოტვირთვის მიმართ, ლოცმანის მომსახურების, არხების, რაბების, ხიდების, სანაოსნო წყლების აღმნიშვნელი სიგნალებისა და სინათლით სარგებლობის მიმართ; ამწე ონკანებით, სასწორებით, საწყობებით, ვერფებით, მშრალი დოკებითა და სარემონტო სახელოსნოებით სარგებლობის მიმართ; სათბობით, საცხი მასალებით, წყლითა და სურსათით მომარაგების მიმართ.

ამ მუხლის დადგენილებები არ ვრცელდება სანავსადგურო სამსახურის შესრულებაზე, სალოცმანო გაცილებისა და ბუქსირების ჩათვლით, აგრეთვე საკაბოტაჟო ნაოსნობაზე. მაგრამ კაბოტაჟად არ ჩაითვლება ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის გემების მეორე მხარის ერთი ნავსადგურიდან სხვა ნავსადგურში წასვლა საზღვარგარეთიდან მოტანილი ტვირთის გადმოტვირთვის მიზნით, ან კიდევ გემზე ტვირთის მიღება უცხო ქვეყანაში წაღების მიზნით.

**მუხლი 9**

თუ ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის გემი განიცდის უბედურებას ან დაიღუპება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ნაპირებთან, მაშინ გემი და ტვირთი ისარგებლებენ იმავე უპირატესობით და შეღავათებით, რომლებსაც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა ანიჭებს თავის გემებს ანალოგიურ ვითარებაში.

კაპიტანს, ეკიპაჟსა და მგზავრებს, ასევე როგორც თვით გემს და მის ტვირთს, ყოველ დროს გაეწევა საჭირო დახმარება იმავე ოდენობით, როგორც ამავე მდგომარეობაში მყოფ ეროვნულ გემებს.

ამ საკითხებზე სპეციალური შეთანხმებების არსებობის დროს დახმარება გაეწევა ამ შეთანხმებების შესაბამისად.

**მუხლი 10**

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის გემების ეროვნული კუთვნილების ცნობა ნაცვალგების წესით მოხდება დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გემზე იმყოფება და გაცემულია კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლის დროშითაც ცურავს გემი.

გემზე არსებული საზომი მოწმობები და გემის სხვა დოკუმენტები, რომლებიც გაცემულია ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, ცნობილ იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ხელისუფალთა მიერ.

ამის შესაბამისად, ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის გემები რომლებსაც ექნებათ კანონიერად გაცემული საზომი მოწმობები, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ნავსადგურში ვათავისუფლებიან განმეორებითი გაზომვისაგან, და მოწმობაში აღნიშნული გემის სუფთა ტევადობა გამოყენებულ იქნება სანავსადგურო გამოსაღებთა გამოანგარიშების საფუძვლად.

### მუხლი 11

შინაგანი რკინიგზით, გრუნტისა და სანაოსნო გზით ტვირთის, საქონლის, მგზავრებისა და ბარგის გადატანის დროს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ნაცვალებით შექმნიან ერისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ რეჟიმს ყველაფერში, რაც ენება გადატანასთან დაკავშირებით ტვირთის მიღებას, ტვირთის გადატანის ღირებულებასა და საშუალებებს, აგრეთვე გადასახდელებს, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთის გადატანასთან იმავე მიმართულებით და იმავე მანძილზე.

### მუხლი 12

ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გავლით ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმის მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადატანის დროს იგი არ დაიბეგრება ბაჟით, გადასახადებით და სხვა გამოსაღებებით.

სხენებული ნაწარმის ტრანზიტის საკითხებზე წესებისა და ფორმალბათა მიმართ შეიქმნება არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე რომელიმე მესამე სახელმწიფოს სატრანზიტო ტვირთის მიმართ.

### მუხლი 13

ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს შეუძლია ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის დედაქალაქში შექმნას თავისი სავაჭრო წარმომადგენლობა, რომლის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართის დადგენილებებით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

### მუხლი 14

ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის იურიდიული და ფიზიკური პირები მეორე მხარის ტერიტორიაზე ყველა შემთხვევაში ისარგებლებენ არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმით, ვიდრე ის, როგორც მინიჭებული აქვთ ყოველი მესამე სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

### მუხლი 15

ამ ხელშეკრულების დადგენილებები არ გავრცელდება იმ უფლებებსა და უპირატესობებზე, რომლებიც მიეცა ან მიეცემა ხელშეკრულების დამდებ

თითოეულ მხარეს სასაზღვრო რაიონებში მოსაზღვრე სახელმწიფოებთან  
სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობის გასაადვილებლად.



### მუხლი 16

ხელშეკრულების დამდები მხარეები გარანტიას იძლევიან შეასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები დავაზე, რომელიც წარმოიშობა მათი იურიდიული პირების ან ორგანიზაციების სავაჭრო ან სხვა ვარიეტებთან იმ პირობით, რომ დავის განხილვა მოცემული სამედიატორო სასამართლოს მიერ, რომელიც სპეციალურად ამ მიზნითაა შექმნილი ან მუდმივად მოქმედებს, სათანადოდ იყო შეთანხმებული მხარეთა შორის.

დადგენილება აღსრულებაზე, ისევე როგორც თვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება, მოხდება ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც აღსრულებს გადაწყვეტილებას.

### მუხლი 17

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რომელიც მოხდება ფხენიანში.

ხელშეკრულება ძალაში დარჩება ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე აუწყებს თავის განზრახვას ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტაზე.

დადებულია მოსკოვში 1960 წლის 22 ივნისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და კორეულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ნ. კატოლიჩვი

ლი სონ უნო

\* \* \*

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 19 ნოემბერს; კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მიერ—1960 წლის 12 ოქტომბერს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ფხენიანში 1961 წლის 3 მარტს.





საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატი-  
ულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და  
ზღვაოსნობის შესახებ 1960 წლის 22 ივ-  
ნისის ხელშეკრულებისა

**კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის  
სავაჭრო წარმომადგენლობის და სსრ კავშირში კორეის სახალ-  
ხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლო-  
ბის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ**

**მუხლი 1**

სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა კორეის სახალხო დემოკრა-  
ტიულ რესპუბლიკაში და შესაბამისად კორეის სახალხო-დემოკრატიული რეს-  
პუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობა სსრ კავშირში შეასრულებენ შემდეგ  
დუქციებს:

- ა) ორივე სახელმწიფოს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გან-  
ვითარებისათვის ხელის შეწყობა;
- ბ) მეორე სახელმწიფოში თავისი სახელმწიფოს ინტერესების წარმომად-  
გენლობა ყველაფერში, რაც კი ეხება საგარეო ვაჭრობას;
- გ) თავისი სახელმწიფოს სახელით სავაჭრო ოპერაციების რეგულირება  
სხვა სახელმწიფოსთან;
- დ) ვაჭრობის განხორციელება სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემო-  
კრატიულ რესპუბლიკას შორის.

**მუხლი 2**

სავაჭრო წარმომადგენლობა არის თავისი ქვეყნის საელჩოს შემადგენელი  
ნაწილი.

სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას კორეის სახალხო-დემოკრატი-  
ულ რესპუბლიკაში და შესაბამისად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუ-  
ბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობას სსრ კავშირში ორივე მხარის მთავრობათა  
შეთანხმებით შეუძლიათ გახსნან თავიანთი განყოფილებები.

სავაჭრო წარმომადგენელი და მისი მოადგილეები სარგებლობენ ყველა  
უფლებებითა და პრივილეგიებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ დიპლომატიურ  
წარმომადგენლობათა წევრებს.

შენობები, რომლებიც უკავია სავაჭრო წარმომადგენლობას და მის განყო-  
ფილებებს, სარგებლობენ ექსტერიტორიალობით. სავაჭრო წარმომადგენლობას  
და მის განყოფილებებს უფლება აქვთ ისარგებლონ შიფრით.

სავაჭრო წარმომადგენლობა და მისი განყოფილებები არ შეიტანება სა-  
ვაჭრო რეესტრში.

სავაჭრო წარმომადგენლობის და მისი განყოფილებების მოსამსახურენი რომლებიც სავაჭრო წარმომადგენლობის ქვეყნის მოქალაქენი არიან, იმ ქვეყანაში, სადაც ისინი იმყოფებიან, გათავისუფლდებიან გადასახადებისაგან შემოსავალზე, რომელსაც ისინი მიიღებენ თავისი მთავრობის სამსახურში.

### მუხლი 3

სავაჭრო წარმომადგენლობა მოქმედებს თავისი მთავრობის სახელით. მთავრობა პასუხისმგებლობას კისრულობს მხოლოდ სავაჭრო ვაჭრობის გარიგებებზე, რომლებიც დადებულ ან გარანტირებულ იქნება სავაჭრო წარმომადგენლობის სახელით იმ სახელმწიფოში, სადაც ის იმყოფება და ხელმოწერილ იქნება ამაზე სათანადო რწმუნების მქონე პირთა მიერ.

იმ პირთა გვარები, რომლებსაც სავაჭრო წარმომადგენლობის სახელით რწმუნება აქვთ უფლებრივი მოქმედებისა, აგრეთვე მონაცემები თითოეული იმ პირის უფლებების მოცულობის შესახებ სავაჭრო წარმომადგენლობის სავაჭრო ვალდებულებათა ხელმოწერის მიმართ გამოქვეყნდება იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ორგანოში, სადაც იმყოფება სავაჭრო წარმომადგენლობა.

### მუხლი 4

სავაჭრო წარმომადგენლობა ისარგებლებს სუვერენული სახელმწიფოს ყველა კუთვნილი იმუნიტეტით, რომელიც ეხება აგრეთვე სავაჭრო ვაჭრობასაც; მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომელზედაც მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი თანხმობა:

ა) დავა სავაჭრო ვაჭრობის გარიგებებზე, რომლებიც 3 მუხლის შესაბამისად დადებულია ან გარანტირებულია სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება სავაჭრო წარმომადგენლობა, ექვემდებარება, თუ არ არის სამედიატორო განხილვის ან სხვა დაქვემდებარების შესახებ დამატებითი შენიშვნა, ამ სახელმწიფოს სასამართლოების განხილვას. ამასთან სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა სარჩელის საპროცესო უზრუნველყოფის გამო დაუშვებელია;

ბ) იძულებითი აღსრულება კანონიერ ძალაში შესული საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებებისა, რომლებიც გამოტანილია ხსენებულ დავაზე სავაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ, შეიძლება მოხდეს, მხოლოდ სავაჭრო წარმომადგენლობის საქონლისა და სავალო მოთხოვნათა მიმართ.

**129** ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის უკანასკნელ სტადიაზე დასამთავრებლად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის მიერ ეკონომიური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ,

რომლებიც ხელმძღვანელობენ სურვილით განაგრძონ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც არსებობს ორ ქვეყანას შორის,

ისწრაფვიან შემდგომ განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ორივე ქვეყნის თანასწორობის, შინაურ საქმეებში ჩაურევლობის, ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის პრინციპები,

აგრეთვე, ითვალისწინებენ ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის დიდ სახალხო სამეურნეო მნიშვნელობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის და

იმ შეთანხმების შესასრულებლად, რომელიც მიღწეული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის წერილების გაცვლის გზით 1960 წლის 15—17 იანვარს ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის დამთავრებაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ,

დადეს ეს შეთანხმება ქვემოთოყვანილზე:

**მუხლი 1**

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიური განვითარებისათვის ხელისშეწყობის მიზნით და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სურვილის დასაკმაყოფილებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა გამოთქვამს თანხმობას ითანამშრომლოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობასთან ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის უკანასკნელ სტადიაზე დამთავრებაში, რომელიც შეიცავს:

- ა) კაშხალის აგებას მის სრულ პროფილამდე კალაპოტის ნაწილის 111 მეტრი საერთო სიმაღლით;
- ბ) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას 2,1 მილიონი კილოვატი სამძლავრით წრიულ არხზე მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე;
- გ) საავარიო წყალსადგების მშენებლობას, რომელიც უზრუნველყოფს 200 მილიონი კუბური მეტრის გადაშვებას დღეში იმ ანგარიშით, რომ წყლის მაქსიმალური დონე არ აღემატებოდეს 182 მეტრის ნიშნულს;
- დ) თითოეული 900 კმ სიგრძის 400—500 კილოვატი ძაბვის ელექტროგადამცემის ორი ხაზის აგებას ასუანის მაღალი კაშხალის ელექტროსადგურიდან

კაირომდე სამი ან ოთხი ქვესადგურით, აგრეთვე 132—220 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზების აგებას საერთო სიგრძით დაახლოებით 1000 კმ-ით, ლომეტრამდე 10—12 ქვესადგურით;

ე) საირიგაციო სისტემებს და ასუანის მაღალი კაშხალის წყლის გამოყენებით 2 მილიონი აკრი საერთო ფართობის მიწების ათვისებას, იმ ფართობების ჩათვლით, რომელიც ირწყვება მაღალი კაშხალის პირველი რიგისაგან.

ზემოაღნიშნული ოდენობა და მონაცემები წინასწარია და უნდა იქნას შეთანხმებული ორივე მხარის მიერ პროექტის დეტალების შესწავლის პროცესში და როდესაც ეს საჭიროდ იქნება მიჩნეული მშენებლობის პროცესში.

## მუხლი 2

ამ შეთანხმების პირველ მუხლში გათვალისწინებული თანამშრომლობის განხორციელების მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა უზრუნველყოფს შემდეგს:

ა) საბჭოთა ორგანიზაციების მიერ საბოლოო პროექტის, სამუშაო ნახაზების, სპეციფიკაციების, სამუშაოთა ფიზიკურ მოცულობათა ნუსხის შესრულებას, რომლებიც დამყარებულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილ ჰიდრაულიკურ პირობებზე და საწყის მონაცემებზე და, თუ ეს საჭიროა მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებულ საძიებო სამუშაოების, გამოკვლევების, აგრეთვე ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის სრულ პროფილამდე დასამთავრებლად სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის დამუშავების შესრულებას.

ყველა ზემოაღნიშნული უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მოკლე დროში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას კაშხალის მშენებლობის დამთავრების შესაძლებლობა 155 მეტრ ნიშნულამდე 1967 წელს და მის სრულ პროფილამდე 1968 წელს;

ბ) ყველა საკეტების დაპროექტებას და დამზადებას, მიწოდებას და დამონტაჟებას მათი მუშაობისათვის საჭირო მექანიკური და ელექტრომექანიზმებით, სათადარიგო ნაწილების საჭირო კომპლექტებით;

გ) ჰიდროელექტროსადგურების მთელი მოწყობილობისა და საკეტების საჭირო რაოდენობით დაპროექტებას, დამზადებას, მიწოდებას, დამონტაჟებას, შემოწმებას და საექსპლუატაციოდ გადაცემას იმ ანგარიშით, რომ ეს ჰიდროაგრეგატები და საკეტები დამონტაჟებული და მზად იქნება საექსპლუატაციოდ შემდეგ ვადებში:

პირველი 3 აგრეგატი 1967 წელს,

მეორე 3 აგრეგატი 1968 წელს,

მესამე 3 აგრეგატი 1969 წელს,

მეოთხე 3 აგრეგატი 1970 წელს.

მთელი მოწყობილობის დაპროექტებას, დამზადებას, მიწოდებას, დამონტაჟებას და გამოცდას (საყრდენი ანძების დამზადებისა და დამონტაჟების გამოკლებით) ასუანიდან კაირომდე თითოეული 900 კილომეტრი სიგრძის 400 — 500 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადაცემის ორი ხაზისა სამი ან ოთხი სატრანსფორმატორო ქვესადგურებისა და საკომპენსაციო მოწყობილობის

კომპლექტში და 1000 კილომეტრი საერთო სიგრძის 132—220 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზებისა 10—12 ქვესადგურით მაღალი სისხნობის რელეური დაცვისა და სადისპეტჩერო ცენტრების კომპლექტში, როგორც ეს იქნება შეთანხმებული ორივე მხარის მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნას 400—500 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადაცემის ერთი ხაზისა და 1000 კილომეტრი სიგრძის 132—220 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზების დამაკმაყოფილებლად გადაცემა საექსპლუატაციოდ 1967 წელს და 400—500 კილოვოლტი ძაბვის მეორე ხაზისა — 1968 წელს.

სათადარიგო ნაწილების სრული კომპლექტის მიწოდებას მთელი ზემოაღნიშნული მოწყობილობისათვის;

დ) ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის მთლიანად დამთავრებისათვის საჭირო დამატებითი სამშენებლო მოწყობილობის, აგრეთვე ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო ყველა იმ მასალების მიწოდებას და დამონტაჟებას, რომლებიც არ შეიძლება გამოინახოს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში — მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადებში;

ე) საჭირო ტექნიკური დახმარების გაწევას მშენებლობაში, რისთვისაც საბჭოთა კავშირიდან მივლინებულ იქნებიან საბჭოთა სპეციალისტები მხარეთა მიერ შეთანხმებული რაოდენობით;

ვ) ტექნიკური დახმარების გაწევას იმ შემთხვევაში, თუ ამას მოისურვებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოქალაქეთა მომზადებაში როგორც საბჭოთა კავშირში, ისე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ასუანის მაღალ კაშხალზე სამუშაოდ;

ზ) საბჭოთა ორგანიზაციების მიერ სპეციალიზებულ სამუშაოთა შესრულებას. ამ სამუშაოთა სახეობანი, აგრეთვე მათი შესრულების ძირითადი დებულებანი განსაზღვრულია წერილებში, რომელთა გაცვლა მოახდინა ორივე მხარემ ამ შეთანხმების ხელის მოწერის დროს;

თ) კაშხალის საიმედოობის დასადასტურებლად გამოცდის მოსაწყობად, აგრეთვე წყალსაცავის 182 მეტრ ნიშნულამდე გავსების დროს საკეტებისა და ჰიდროელექტროსადგურის საბოლოო გამოცდის მოწყობას. იგულისხმება, რომ ეს პირობა დადგება არა უგვიანეს 1975 წლისა;

ი) მიწების ათვისებისა და საირიგაციო სისტემებისათვის საჭირო ელექტრო და მექანიკური მოწყობილობის მიწოდებას, დამონტაჟებას და საექსპლუატაციოდ გადაცემას, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ შეთანხმების 1 მუხლში.

ზემოხსენებული ვადები ემყარება იმას, რომ არაბეთის მხარე წარმოადგენს საჭირო მონაცემებს და უზრუნველყოფს თავის ვალდებულებათა შესრულებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ შეთანხმებაში, აგრეთვე როგორც იქნება მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებული.

### მუხლი 8

ამ შეთანხმების 2 მუხლში გათვალისწინებული საპროექტო, საძიებო და საკვლევე სამუშაოების, ფომს საბჭოთა ნავსადგურების ფასებში სსრ კავშირ-

დან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საკეტების, ჰიდროაგრეგატების, მანქანების, მოწყობილობისა და მასალების მიწოდებისა და დამონტაჟების შესრულებისათვის საბჭოთა ორგანიზაციების ხარჯების ასანაზღაურებლად, აგრეთვე ამ შეთანხმების შესაბამისად ტექნიკური დახმარების გასაწევად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საბჭოთა სპეციალისტების მივლინებისა და უკან დაბრუნების სამგზავრო ხარჯების ასანაზღაურებლად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა მისცემს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას კრედიტს 900 მილიონი მანეთის ოდენობით (ერთი მანეთი შეიცავს 0,222168 გრამ სუფთა ოქროს).

იმ შემთხვევაში, თუ ზემოჩამოთვლილი ხარჯების საერთო თანხა გადაამეტებს ამ მუხლში აღნიშნული კრედიტის თანხას — 900 მილიონ მანეთს, გადამეტებული თანხა უნდა დაიფაროს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მიერ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საქონლის მიწოდებით სსრ კავშირში. სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას (ეგვიპტის რაიონი) შორის მოქმედი სავაჭრო და საგადასახდლო შეთანხმებების შესაბამისად.

#### მუხლი 4

ამ შეთანხმების 3 მუხლის შესაბამისად მიცემულ კრედიტს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა დაფარავს თანაბარი ყოველწლიური შენატანებით 12 წლის განმავლობაში, დაწყებული ერთი წლის შემდეგ ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის სრულ პროფილამდე დამთავრებისა და არანაკლებ ერთი მილიონი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციოდ გადაცემის მზადყოფნის თარიღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1970 წლის 1 იანვრისა; ამასთანავე კრედიტის ნაწილი, რომელიც გამოყენებულ იქნება 1969 წლის 1 იანვრიდან მაღალი კაშხალის სხვა სამუშაოთა დასამთავრებლად, გადახდილ იქნება კრედიტის დაფარვის იმავე პირობებში ყველა სამუშაოთა დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1972 წლის 1 იანვრისა.

წლიურად 2,5 ოდენობით პროცენტის დარიცხვა მოხდება კრედიტის სათანადო ნაწილის გამოყენების თარიღიდან და გადახდილ იქნება იმ წლის მომდევნო წლის პირველი კვარტალის განმავლობაში, როდესაც მოხდა მათი დარიცხვა. მოწყობილობის, მანქანებისა და მასალების ასანაზღაურებლად კრედიტის გამოყენების თარიღად ჩაითვლება კონოსამენტის თარიღი, ხოლო საპროექტო, საძიებო და საკვლევ სამუშაოთა, აგრეთვე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საბჭოთა სპეციალისტების მივლინების ხარჯების ასანაზღაურებლად — ანგარიშის გამოწერის თარიღი.

#### მუხლი 5

გარდა წინა მუხლების პირობებისა, დებულებანი, რომლებსაც შეიცავს 1958 წლის 27 დეკემბრის შეთანხმების 3, 4, 7, 8, 9, 10, 11 და 12 მუხლები ასუა-

ნის მაღალი კაშხალის პირველი ორგის მშენებლობაში არაბთა გაერთიანებული  
რესპუბლიკისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ  
ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ, აგრეთვე იმავე  
რილის იმ წერილების პირობები, რომლების გაცვლა მოახდინეს მხარეებმა აღ-  
ნიშნული შეთანხმების ხელის მოწერასთან დაკავშირებით, გამოყენებულ იქნება  
ამ შეთანხმების განხორციელების დროს და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

## მუხლი 6

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში  
და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება  
კაიროში.

დადებულია მოსკოვში 1960 წლის 27 აგვისტოს ორ ეგზემპლარად, თი-  
თოვეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა  
აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების

კავშირის მთავრობის რწმუნებით

**0. არხიპოვი**

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის

მთავრობის რწმუნებით

**მ. არაჟა**

\* \* \*

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ  
1961 წლის 25 იანვარს; არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის  
მიერ — 1960 წლის 15 ნოემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა კაიროში 1961 წლის 2 მარტს.

ბრძანებულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**130** „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშო-  
რისო ლენინური პრემიების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს ფულადი პრემიის ოდენობა, რომელიც ეძლევათ „ხალხთა  
შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო პრემიის ლაურეატებს  
1961 წლის 1 იანვრიდან, 25.000 მანეთი.

2. დაწესდეს, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერ-  
თაშორისო ლენინური პრემიები ენიჭებათ ყოველწლიურად, დაწყებული 1961  
წლის პრემიებიდან, 5 პრემიამდე რაოდენობით საერთაშორისო ლენინური  
პრემიების კომიტეტის მიერ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 მარტი.



**131** ლატვიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან და კავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 აპრილიდან, ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი № 4, მუხლი 44).

2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი 3 (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 377);

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 59, მუხლი 251);

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულება „ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის დროებით გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 46) რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების გამოყენების ნაწილში;



5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისკენ და საპირობების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

8. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 7 აპრილის ბრძანებულება „შინ გამოხდილი არყის დამზადებისა და გაყიდვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 14);

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (გაზეთი „სოვეტსკაია ლატვია“, 1949 წლის 6 იანვარი, № 4);

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა).

14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის კა-

ნონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

15. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესა წანახედი-სათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-დიუმის 1955 წლის 11-იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღ-ლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);

16. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 21 აპრი-ლის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვა-დამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესა-ხებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

17. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრი-ლის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების გან-ხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წე-ლი, № 7) იმ ცვლილებებით, რომელნიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებასა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართ-ლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძა-ნებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

18. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 21);

19. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხ-ლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილ-ში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნეჰი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 მარტი.



**132** ლატვიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 აპრილიდან მოქმედებაში შედიან ლატვიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 აპრილიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ლატვიის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ ლატვიის სს რესპუბლიკის 1961 წლის 6 იანვრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. ნება დაერთოს ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს, რომ ლატვიის სს რესპუბლიკის 1961 წლის 6 იანვრის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებაში შესვლიდან სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, თუ განაჩენი ამ პირთა მიმართ მოქმედებაში შევიდა 1961 წლის 1 აპრილამდე, ე. ი. ლატვიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებაში შესვლამდე.

3. დევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან ლატვიის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრაქენვი.**  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 მარტი.



133

ესტონეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საპანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაწიენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 აპრილიდან, ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 4, მუხლი 44).
2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი 3 (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 377);
3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მეცხრის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 59, მუხლი 251);
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულება „ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის დროებით გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 46) რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების გამოყენების ნაწილში;
5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატიერთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის

და საჭიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, №19);

8. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 7 აპრილის ბრძანებულება „შინ გამოხდილი არყის დამზადებისა და გაყიდვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 14);

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

15. „კოლმეურნეობებისა და საბჭოს მეურნეობების ნათესა წანახედი“ თვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);

16. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

17. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 7) იმ ცვლილებებით, რომელნიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებასა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

18. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 21);

19. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 მარტი.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**134** ისტონეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

ისტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 აპრილიდან



მოქმედებაში შედიან ესტონეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ადგენს:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 აპრილიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ესტონეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ ესტონეთის სს რესპუბლიკის 1961 წლის 6 იანვრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. ნება დაერთოს ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს, რომ ესტონეთის სს რესპუბლიკის 1961 წლის 6 იანვრის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებაში შესვლიდან სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, თუ განაჩენი ამ პირთა მიმართ მოქმედებაში შევიდა 1961 წლის 1 აპრილამდე, ე. ი. ესტონეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებაში შესვლამდე.

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაეაღწეონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან ესტონეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომბარჰი.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 მარტი.

**ბანუოფილება მიორა**

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**135** ახ. ნ. ნ. ორბანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისათვის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

უმის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ორგანოვი დაჯილდოებულ  
იქნას ლენინის ორდენით.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 7 მარტი.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**136** სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. ა. ოზუხოვას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნადეჟდა ანდრეას ასული ოზუხოვა დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 მარტი.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**137** მწერალი ქალის გ. ე. ნიკოლაევას (ვოლიანსკაიას) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად, მწერალი ქალი ვალინა ევგენის ასული ნიკოლაევა (ვოლიანსკაია) დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 მარტი.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**138** აკადემიკოს ნ. ი. კონრადის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის აკადემიკოსი ნიკოლოზ იოსების ძე კონრადი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 მარტი.





# 139 საავიაციო ტექნიკის მზრინავ-გამომცდელთათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მზრინავი-გამომცდელის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ახალი საავიაციო ტექნიკის გამოცდასა და გამოკვლევაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ „სსრ კავშირის დამსახურებული მზრინავი-გამომცდელის“ საპატიო წოდება:

1. პოლკოვნიკ გიორგი ტიმოთეს ძე ბერეგოვოს.
2. პოლკოვნიკ ემანუილ ვლადიმერის ძე გოლენკინს.
3. პოლკოვნიკ ვასილ კონსტანტინეს ძე გრეჩიშკინს.
4. ინჟინერ-პოლკოვნიკ ნიკოლოზ პავლეს ძე ზახაროვს.
5. პოლკოვნიკ ნიკოლოზ ივანეს ძე კოროვუშკინს.
6. პოლკოვნიკ ვასილ სერგის ძე კოტლოვს.
7. პოლკოვნიკ ანატოლი კონსტანტინეს ძე სტარიკოვს.
8. პოლკოვნიკ მიხეილ სტეფანეს ძე ტველენევის.
9. პოდპოლკოვნიკ ლეონიდ ნიკოლოზის ძე ფადეევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 მარტი.

## ბანჟოფილება მისამე

### ც ნ ო ზ ა

## სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების არჩევნების შესახებ

1961 წლის 19 თებერვალს გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნები კრასნო-იარსკის — ლენინის № 77 საარჩევნო ოლქში და კოტლასკის № 107 საარჩევნო ოლქში.

დეპუტატებად კავშირის საბჭოში არჩეული არიან:

კრასნოიარსკის — ლენინის № 77 საარჩევნო ოლქში — ამხ. ლეონიდ ვასილის ძე კირენსკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

კოტლასკის № 107 საარჩევნო ოლქში — ამხ. ვლადიმერ გრიგოლის ძე აგიბალოვი, არხანგელსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

პრავო-ეგორლიცკის გასაწყლიერებელ-სარწყავი სისტემის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

1961 წლის 16 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა „სტავროპოლსტროის“ სამშენებლო სამმართველოს მენეჯერი შა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე და საპროექტო ორგანიზაციების პარტიული და პროფკავშირული ორგანოების მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: „სტავროპოლსტროის“ მშენებლობის სამმართველოს მუშაკები: ლ. ფ. ბაზარნი — მანქანათსამშენებლო კონტორის მებუღლოზერე, გ. ფ. ბორმოტოვი — მანქანათსამშენებლო კონტორის უფროსი, ვ. ა. ვერესოვი — № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მეარმატურე, გ. პ. დერკაჩევი — მანქანათსამშენებლო კონტორის მემანქანე-მეექსკავატორე, ე. ს. ზაიცევი — № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კალატოზი, ა. კ. კაზმინი — მანქანათსამშენებლო კონტორის მებუღლოზერე, ო. ბ. კანატოვი — სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ი. კ. კოროლიოვი — მანქანათსამშენებლო კონტორის მებუღლოზერე, ვ. პ. ნოსაჩევი — მანქანათსამშენებლო კონტორის მემანქანე-მეექსკავატორე, პ. ა. ფროლენკო — მანქანათსამშენებლო კონტორის მესკრებერე და ე. ი. ჩაუშევი — № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მებეტონე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 18 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 38, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 41 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 42 კაცი.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**140** გ. ი. ასათიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მიწოდების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოს კინორეჟისორ-ოპერატორს გიორგი ირაკლის ძე ასათიანს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიუშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 13 მარტი.

**141** საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების  
მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების დარგში თვალ-  
საჩინო დამსახურებისათვის მიენიჭეთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის  
საპატიო წოდება:

1. ოთარ ვასილის ძე თაქთაქიშვილს — კომპოზიტორს.
2. დავით ალექსანდრეს ძე თორაძეს — კომპოზიტორს.
3. სულხან თევდორეს ძე ცინცაძეს — კომპოზიტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 13 მარტი.

